

შეცვლის თუ არა სემეკი ელექტროენერჯის ტარიფს?



**საქართველოს
ენერჯეტიკისა და
წყარმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის თავმჯდომარის
ირინა მიღორავას
განმარტებით, თუ
ელექტროენერჯის მსხვილი
მომხმარებლების**

**თავისუფად ბაზარზე გასვლა არ გაგრძელდება, სემეკმა შესაძლოა,
ტარიფები მიმდინარე წელს ისევ დაითვალს.**

როგორც სემეკის თავმჯდომარე აღნიშნავს, როდესაც 2017 წელს კომისია ელექტროენერჯეტიკის სექტორში სამომხმარებლო ტარიფებს ითვლიდა, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა ითვადისწინებდა, რომ 2018 წლის 1 მაისიდან გარკვეული რაოდენობის მომხმარებლების ბაზარზე გავიღოდნენ, შესაბამისად ახალი ტარიფები სემეკმა ამ მოცემულობის გათვადისწინებით დაიანგარიშა.

„შემდეგ ამ კანონპროექტის ერთგვარი ცვლილება მოხდა და ამ მომხმარებლების ბაზარზე გასვლა შეჩერდა, რის შედეგადაც ბაზარზე უფრო ნაკლები კომპანია გავიდა, ვიდრე ეს ჩვენ გავითვადისწინეთ ტარიფების გაანგარიშებისას. როგორც ახლა გაუღერდა ინიციატივა, ბაზრის გახსნა გაგრძელდება და შემდეგი ტარლა განხორციელდება გარკვეული მომხმარებლების თავისუფად ბაზარზე გასვლის მიმართულებით. ამ ეტაპზე საუბარია, წერიწადში 5 მრნ კვტ.სთ-ზე მეტი მოხმარების მეწონე საწარმოებზე. ასეთია დაახლოებით, ათამდე საწარმო“, – განმარტა სემეკის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ თუ ეს პროცესი არ გაგრძელდება, შესაძლოა, ელექტროენერჯის ტარიფის გადახედვა საჭირო გახდეს. „წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ საჭირო გახდეს სამომხმარებლო ტარიფის კიდევ ერთხედ გადახედვა, ვინაიდან ის მოცემულობა, რომედრზე

დაყრდნობითაც ჩვენ მაშინ ტარიფები დავთვადეთ, აშკარად შეიცვალა და შესაბამისად, ახარი რეალობის გათვადისწინებით, ტარიფების გადახედვა მოგვიწევს“, – აღნიშნა მან.

ედექტროენერჯის მოქმედი ტარიფები სემეკს სამი წლის ვადით აქვს დადგენილი.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ედექტროენერჯიას სამი უმსხვილესი მომხმარებელი თავისუფალი ბაზრის პრინციპით ყიდულობს. ბაზარზე გავიდნენ ის კომპანიები, რომლებმა 2018 წლის პირველ სამ თვეში საშუალოდ, 15 მილიონი კილოვატისაათი ედექტროენერჯია მოიხმარეს.

bm.ge